დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 3 სამშაბათი, 5 იანვარი 1910 წ. № 3

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

წელიწადი მესამე

დროება

წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

◆ ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება ◆

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆

◆ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

◀ 1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ ▶

კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების“-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

ხელის მოწერის პირობები:

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:
Тифлисъ, редакція „Д Р О Э Б А“, И. С. Агладзе.

ოლღა სამსონის ასული და მისი შვილები **ალექსანდრე სამსონის ძე, პოლინე და კალისტინა სამსონის ასულნი** უღრმეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მეუღლის, ხოლო მეორენი საყვარელ მამის

სამსონ მარკოზის ძის აბესამისას

და სთხოვენ მობრძანდნენ ამა იანვრის შვიდს და პატივი სცენ მიცვალებულის სულის ხსენებას. გარდაიცვალა დეკემბრის 31 დღეს. (1—გაზ.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ღამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
ხოზოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ დღე. 9—11 ს.
თიკანაძე ი. ე. დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—77)

სამუსიკო სკოლა

ტფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოებისა.

პირველ იანვრიდან 1910 წლ. განხლდება მოწაფეების მიღება შემდეგ სპეციალურ მუსიკალურ კლასსებში: ფორტეპიანო, სკრიპკა, ვიოლონჩელი, კონტრაბასი, ელემენტარული თეორია, ნოტების კითხვა, (solfegio) მუსიკ. ენციკლოპედია და ხოროს კლასსში. ხმების გავარჯიშებისათვის, სიმღერის მასწავლებლად (solo) მოწვეულია, რუსულ ოპერის არტისტი **ნ. დ. კოვალენსკი.** გადასახადი ფასი მეორე ნახევარი წლისათვის, სიმღერა (solo) ეღირება 37 მ. და 50 კ. დანარჩენ სპეციალურ ინსტრუმენტებზე კი—30 მანეთი. მოწაფეთა მიღება და ხმების გამოცდა მათთვის, ვისაც სურთ მონაწილეობის მიღება ქალთა და ვაჟთა გუნდში, დანიშნულია ყოველ დღე, კვირა-უქმეობითაც, დილის 10 ს. ვიდრე 2-მდე და ნაშუადღევს 4—7 საათზე.

სწავლა დაიწყება 7 იანვარს

ადრესი: საპიორის ქუჩა ყლენტის სახლი N 18. (5—3)

ექიმი დ. ახვლედიანი იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

მცხეთის დედათა მონასტრის ოთხ კლასიან ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ
პარასკევს, 8 იანვარს, გაიმართება

● საღამო ●

1. ბ-ნი **გ. ბ. გვაზავა** წაიკითხავს ლექციას: „ნორა“ იბსენისა.—ევოლუცია ორწინებისა და თავისუფლება პიროვნებისა.—ოჯახი და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

2. **დივერტისმენტი:** სიმღერა, ლექსები, კუპლეტები.

3. ცეკვათამაში

დაუკრავს მუსიკა და ხანანდარი.

ბილეთების ფასი 1 მ., მოსწავლეთათვის 50 კ. დასაწყისი რვა საათზე.

საღამო გაიმართება **ქალაქის ბირჟის ზალაში**, ერევნის მოედანთან.

(5—2) საღამოს დიასახლისი **კნ. დ. ჯავახიშვილისა.**

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. **ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ვ. ს. **მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.
ბ. ა. **პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. **ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—239)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.
მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

მ. **ალაჯჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
ნ. **ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ 1—2 ს.
ვ. **ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
ი. **ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს
მ. **კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
მ. **მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
ლ. **მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
მ. **კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. ს ავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—97

ექიმი ვ. ღამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—85)

ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუღ. გვერდზე. (100—ზალ.—87)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში. იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. მიიღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—ნ.—18)

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აზოვის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—335)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—1368)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—ვვ.—141)

ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე). (100—ზალ.—101)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—27)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩარექოვი იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—6

ექიმი ა ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ქუთაისში კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—75)

ქ. ქუთაისში

მებაღე ვარლამ ვ. ჩიხლაძე.

ვყიდი ამერიკულ ვაზზე საუკეთესოდ დამყნილ ჩვენებურ ჯიშის ვენახს ხელმისაწვდენ ფასებში. მსურველს შეუძლიან იკითხოს ძველი ტფილისის ქუჩის შესახვევში ამბაკო იმანიძის სახლში (ვაგზალთან). 10—ვვ.—5

პატრონის ავადმყოფობის გამო იყიდება საუკეთესოდ მოწყობილი

ღვინის „სარდაფი“

ავჭალის ქუჩისა და ანდრეევის ქუჩის კუთხეში; მეცხრე პოლიციის ნაწილში, სულხანოვის სახლში, № 38 1. მსურველს შეუძლიან აიღოს იჯარითაც ხელმისაწვდომ პირობებში.
(2—806—1) **ვ. თევდორაშვილი.**

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **წესდების დამტკიცება.** როგორც ვწერდით, ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულმა წარმოდგენების მმართველმა წრემ შესაფერისი ცვლილებანი შეიტანა თავის წესდებაში და დასამტკიცებლად გუბერნატორს წარუდგინა. წესდებაში უმთავრესი ცვლილება საწევრო გადასახადის განსაზღვრას შეეხებოდა. გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა წესდებაში შეტანილ ცვლილებანი. წრის გამგეობა ახლო მომავალში საზოგადო კრებას მოიწვევს გამგეობის ახალ წევრთა ასარჩევად და სხვა მიმდინარე საქმეების განსახილველად.

◆ **სტატისტიკური ცნობები.** როგორც ვწერთით, სათანადო მთავრობამ 2000 მან. გადასცა კავკასიის სოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს განკარგულებაში სტატისტიკურ ცნობების შესაკრებად. სამეურნეო საზოგადოების საბჭო უკვე შეუდგა კავკასიის მეურნეობის შესახებ ცნობების შეკრებასა და შემუშავებას. საზოგადოების საბჭომ ყველგან პროვინციებში გაიჩინა კორესპონდენტები, რომელთაგან ცნობები მოსდის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

◆ **კახეთის რკინის გზა.** როგორც „ზაკავ.“ გადმოგვცემს, კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმე იმდენად წაწეულა წინ, რომ თავად-აზნაურობის რწმუნებულნი უკვე შესდგომიან ტფილისის მახლობლად ადგილის ძებნას, სადაც უნდა აშენდეს სადგური, სახელოსნოები, ლაზარეთი და სხვა.

◆ **სტატისტიკა.** „კასპი“-ს სიტყვით, 1909 წელს ბაქოში მომხდარა 30 ექსპროპრიაცია, მოუკლავთ 123 კაცი, გაუცარცვიათ 221 დაწესებულება და კაცი, გადაუგდიათ 11 ყუმბარა, თავი მოუკლავს 105 კაცს, დაუპატიმრებიათ 304 ბოროტგანმზრახველი, პოლიციას აღმოუჩენია 17 იარაღის საწყობი და სხვა.

◆ **საინტერესო საღამო.** როგორც გადმოგვცეს, 9 იანვარს ქართულ თეატრში ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით გაიმართება ფრიად საინტერესო საღამო. მოხდება გასამართლება ალ. ყაზბეგის მოთხრობის „მოძღვრის“ უმთავრეს გმირებისა—მაყვალასი, ონისესი და გელასი. პროკურორად გამოვა ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, დამცველად—ივანე გომართელი, მოსამართლენი—კოტე აბაშიძე, გიორგი ლასხიშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, გიორგი გვაზავა, გრიგოლ დიასამიძე და სხვა. მაყვალა—ქ-ნი ნ. ჩერქეზიშვილი, ონისე—ილ. ზურაბიშვილი და სხვ.

◆ **უმავთულო ტელეგრაფი.** ტფილისსა და მანგლისს შორის ამ ჟამად მოქმედებს უმავთულო ტელეგრაფი. ტელეგრაფი მოუწყვია ადგილობრივ მდგომ პოლკს.

◆ **ლექციები.** ამ დღეებში პეტერბურგიდან ტფილისს ჩამოვიდა პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი. ეს შემთხვევა განიზრახა გამოიყენოს საქართველოს საისტორიო-საარქეოლოგიო საზოგადოების საბჭომ, რომელსაც სურს სთხოვოს ბ-ნ ჯავახიშვილს საქართველოს ისტორიიდან რამდენიმე საჯარო ლექცია წაიკითხოს.

◆ **სამუსიკო საზოგადოების კრება.** 10 იანვარისთვის ზუბალაშვილის სახალხო სახლის სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება ზუბალაშვილის სახლთან არსებულ სამუსიკო საზოგადოებისა. კრება დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე. უნდა აირჩიონ წევრები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და განიხილონ რამდენიმე მიმდინარე საქმე.

◆ **შუამდგომლობის შეუწყნარებლობა.** ამას წინად ზუბალაშვილის სახლში სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრემ შუამდგომლობა აღძრა ტფ. ქალაქის გამგეობის წინაშე საბჭოში შეეტანა მისი თხოვნა, რომ ქალაქს წრისათვის ყოველ წლიურად 500 მან. მიეცა. ქალაქის გამგეობამ შეუძლებლად სცნო საბჭოს წინაშე შუამდგომლობის აღძვრა 500 მან. დახმარების შესახებ და დაადგინა უარი ეთქვას წრეს.

◆ **ფორმის ტანისამოსი.** ტფ. პოლიცმეისტერმა განუმეორა ბრძანება პოლიციელებს, თვალ-ყური ადევნონ, რომ სამსახურს გარეშე მყოფი პოლიციელები არავითარს შემთხვევაში ფორმის ტანისამოსსა და იარაღს არ ატარებდნენ.

◆ **ეგზარხოსის ჩამოსვლა.** როგორც გადმოგვცეს, საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი ტფილისში ჩამოვა იანვრის 20 რიცხვებში.

◆ **შეწირულება.** „ტფ. ლისტ.“ სიტყვით, მანთაშევს ტფ. სავაჭრო სკოლისათვის შეუწირავს 40,000 მანეთი. მანთაშევმა ამავე სკოლას წინად შესწირა 60,000 მანეთი. ეს 40,000 მანეთი სკოლის ახალ შენობას უნდა მოხმარდეს ბებუთოვის ქუჩაზე.

◆ **ფარნების ანთება.** ტფ. პოლიცმეისტერმა დაავალა პოლიციის მოხელეებს, თვალ-ყური ადევნონ, რომ ქალაქის ქუჩებში ფარნები პირველ იანვრიდან ინთებოდეს ნაშუადღევის 4 საათსა და 25 წუთიდან, ხოლო 16 იანვრიდან 31-მდე—ნაშუადღევის 4 საათსა და 50 წუთ. იანვრის პირველ ნახევარში ფარნები უნდა დააქრონ დილის 5 საათსა და 50 წ. ხოლო მეორე-ნახევარში—5 საათ. და 40 წ.

◆ 2 იანვარს, საღამოს 6 ნახევარ საათზე, დახურულ ბაზარში ტფ. მცხ. იოსებ ალექ. ონიკაძეს და სენაკელს ვასილ სულუხიას ჩხუბი მოუვიდათ. სულუხიამ ონიკაძე ბრაუნინგით ზურგში დასჭრა ორგან და მიიმალა. სულუხია დააპატიმრეს და გადასცეს გამომძიებელს.

◆ 2-3 იანვარს ტფილისში მოხდა შემდეგი ამბები: 3 იანვარს, საღამოს რვა-ნახევარ საათზე, მატინოვის ქუჩაზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა რევოლვერით დასჭრა 21 წლის ქალი ნინო სტეფანეს ასული გურგენიძისა და მერე მიიმალა. მიზეზი ჯერ არ არის გამორკვეული. გაჩხრეკის დროს პოლიციის მე-2 ნაწილში დააპატიმრეს 10 უპასპორტო კაცი. 2 იანვარს, დილის 10 საათზე, რაჭის მაზრის სოფ. შაქმერის მცხოვრები მეთორნე სამსონ გვიმრაძე დაბრუნდა სახლში. მაგისტრალის და ხუდადოვის ქუჩების შესართავთან გვიმრაძეს და გიორგი და მიხეილ ნოზაძეებს ჩხუბი მოუვიდათ, რომლის დროსაც გვიმრაძეს წაართვეს საათი და 20 მანეთიანი ჩოხა. ნოზაძეები დააპატიმრეს და პასუხის-გებაში მისცეს. 2 იანვარს შუა ბაზარში დააპატიმრეს სიმა ოქრუაშვილი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ თავის ნებით ტფილისში დაბრუნებულა. ამავე დღეს დააპატიმრეს ქართლის სოფელ ზაიდოს მცხოვრები დავით გაბარაშვილი, რომელიც იმალებოდა სამხედრო ბეგრის თავიდან ასაცილებლად. გაბარაშვილი გორის მაზრის სამხედრო საკრებულოს განკარგულებაში გაგზავნეს. ვორონცოვის ქუჩაზე მტკვრის პირას ნახეს გვამი 25-26 წლის უცნობ კაცისა. დახრჩვალს კაცს ჯიბეში აღმოაჩნდა საბუთი, საიდანაც პოლიციამ გაიგო, რომ იგი ტფ. მოქალაქე გრიგოლ ნასყიდაშვილი უნდა იყოს. შინდისის ქუჩაზე ქურდებს კედელი გამოუნგრევიათ თათოს ბარხუდაროვის სახლში და მოუპარავთ სამი ხალიჩა 140 მანეთად ღირებული და სხვა ნივთები. ეჭვი მიიტანეს სააკ ტერ-ოდანესიანცზე და დააპატიმრეს.

შეცდომის გასწორება. „დროების“ მეორე ნომერში დაბეჭდილ მანის წერილში—„კონცენტრაცია და პროლეტარიზაცია სოფლის მეურნეობაში გერმანიაში“ შემდეგი კორექტურული შეცდომები შეიპარა: დაბეჭდილია: „ასეთი იყო აზრი მეცნიერულ სოციალიზმის დამაარსებელთა, და მათი მიმდევრები აბა როგორი **ოქტომბრისტები** იქმნებოდნენ...“ უნდა იყოს—„როგორი **ორთოდოქსები** იქმნებოდნენ.“ დაბეჭდილია—„ამ თეორიის ზედნაშენად უნდა ჩაითვალოს მთელი პროგრამმა ჩვენებურ მარქსისტებისა“. უნდა იყოს—„მთელი აგრარული პროგრამმა“. გარდა ამისა, რამდენგანმე დაბეჭდილია მემამულე, მემამულეთა და სხვა—მამული, მამულთა და სხვას მაგიერ.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
3—4 იანვარი.

თეირანი. ხმა გავრცელდა, ეფრემა ცუდ მდგომარეობაში არისო. ეფრემა მსუბუქად ხელში დაიჭრა და პატრონები შემოაკლდაო. ქალაქში დააპატიმრეს ბევრი სამღვდელო პირი. ბრალდებათ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია.

საზღვარ-გარეთ

ლონდონი. დაიწყო დეპუტატთა პალატის არჩევნები. ხელმეორედ აირჩიეს ჩემბერლენი.

ბუდაპეშტი. სახალხო პარტია სცდილობს შეაერთოს კოალიციის პარტიები და ხელი შეუშალოს ხედერვერს სამინისტროს შედგენაში. ანდრაშის პარტიამ უარი განაცხადა კოალიციაში შესვლაზე. კოშუტის, იუსტის და სახალხო პარტიებმა დელეგატები გაგზავნეს კომიტეტში, რომელმაც უნდა შეიმუშავოს წესები კოალიციის საერთო მოქმედებისა.

სტოკჰოლმი. დაიწყო რეიხსტაგის სხდომები. მეფემ წინანდელი პრეზიდიუმი დანიშნა.

რომი. სტეფანის სააგენტო იუწყება: ტყუილია გაზეთების მიერ გავრცელებული ცნობა, ვითომ ინგლისი, იტალია და საფრანგეთი შეთანხმებულიყვნენ, რომ აბაშეთში ჯარი გაგზავნონ, რადგან აბაშეთში საქმეები აწეწილ-დაწეწილიაო.

პარიზი. გარეშე საქმეთა მინისტრმა მინისტრთა საბჭოს სხდომაზედ განაცხადა: ტუნისსა და ტრიპოლში მომხდარი ინციდენტი მალე მშვიდობიანად დაბოლოვდებაო.

მადრიდი. სამხედრო დემონსტრანტების წინააღმდეგ მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღო. წესიერება დამყარდა.

ლისსაბონი. სოფ. ალდეიასში, შუშხუნების მექარხნეს სახლში აფეთქება მოხდა. სახლი სულ ერთიანად დაინგრა. ნანგრევებ ქვეშ იპოვეს მექარხნეს, მისი ცოლის და 2 ბავშვის გვამი. დაშავდა რამდენიმე კაცი. ამას გარდა ახლო-მახლო სახლებიც დაზიანდნენ.

პარიზი. რადიკალების და რადიკალ სოციალისტების პარტიის კომიტეტმა განაცხადა, წინაღმდეგნი ვართ პარლამენტის პროპორციონალურ არჩევნებისაო.

ლონდონი. ნაშუაღამევის პირველ საათამდის დეპუტატთა პალატაში აირჩიეს 43 უნიონისტი, 37 ლიბერალი, 6 მუშათა პარტიის წევრი და 5 ნაციონალისტი. უნიონისტებმა შეიძინეს 18, ლიბერალებმა 3 ახალი ადგილი. ლონდონის ათ უბანში, სადაც აქნობამდის სულ ლიბერალები გადიოდნენ, სამი უნიონისტი გავიდა. გააშავეს სატარიფო რეფორმის ცნობილი მებრძოლი გრიმსი. შუა და დასავლეთ ინგლისში უნიონისტები იმდენი აირჩიეს, რამდენიც მოსალოდნელი არ იყო.

რ უ ს ე თ ი

ვლადივოსტოკი. დაიწვა პროხასკეს სადგური. წიგნები და საბუთის ქაღალდები გადაარჩინეს.

31 დეკემბერს სადგურ დუ-ცინშანზედ სამგზავრო მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. დაიმტვრა 7 ვაგონი. არავინ დაშავებულა.

ტამბოვი. დილით სოფელ ტერნოვკას ახლო იპოვეს სახაზინო დუქნების ფულის ამკრეფის, მეეტლის და საეროზო დარაჯის გვამები. ბოროტგანმზრახველები თავს დასცემიან მათ, დაუხოციათ, ფული გაუტაცნიათ და მიმალულან.

პეტერბურგი. პროკურორის და ადმინისტრაციის წარმომადგენლების თანადასწრებით გასჭრეს ინჟინერ ანდრეი გილევიჩის გვამი. გილევიჩი ნათესავებმა და ნაცნობებმა იცნეს. გილევიჩის გვამს დასაკრძალავად ნათესავებს გადასცემენ.

მინსკი. სადღაც მიიმალა აზოვდონის ბანკის განყოფილების მოსამსახურე. მან თან წაიღო 38,500 მანეთი ბანკისა და 20,000 მანეთი კერძო პირებისა.

ლოძი. ანდრეის ქუჩაზედ ჩამოინგრა ხუთ სართულიანი სახლი. ჯერ არ იციან დაიღუპა ვინმე თუ არა.

პეტერბურგი. პირველ შინაგან მოგებიან სესხის ტირაჟი. მოგებები ჰხვდა:

ორასი ათასი მანეთი — სერია 18702, ნომერი 36.

სამოცდა თხუთმეტი ათასი — 828/16. ორმოცი ათასი—7545/14.

ოცდა ხუთი ათასი — 1124/5.

ათი ათასი—11,554/12; 16083/1; 3910/36.

რვა ათასი—2742/16; 16952/21; 994/36; 16166/15; 13858/18.

ხუთი ათასი—19364/5; 4303/29; 14776/32; 17934/41; 17802/26; 7382/25; 4306/2; 3768/14.

ასი თუმანი—7399/18; 15104/24; 5395/19; 7661|3; 438|28; 10993|6; 17507|41; 12468|28; 11338|22; 2856|12; 10963|13; 7380|23; 7714|27; 13930/21; 10854/22; 4783/36; 1396/43; 6262/34; 11091/45; 6852/34.

რა ესაჭიროება სოფელს?

სწავლა-განათლების მხრივ ქართველები დაქვეითებულნი ვართ. ამით ის-კი არ მინდა ვსთქვა, რომ ხალხს არა სწყუროდეს სწავლა. არა, სწავლა სწყურიან, მაგრამ ნაკადული, ანკარა ნაკადულია საჭირო, რომელიც თავის უებარ წყაროთი უნდა სჩქეფდეს ადამიანის გულში, რომ იმის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს. სამწუხარო ის არის, რომ ეს ნაკადული წაბილწულია, მოწამლულია და ამ მოწამლულ ნაკადულს გაუმაძღრად ეწაფება ახალთაობა და ჩვენც ხელს ვუმართავთ ამნაირ ნაკადულების გამრავლებაში. ჩვენი სასწავლებლები საზოგადოდ ამისთანა ამღვრეულს ნაკადულებს წარმოადგენენ, რომელსაც არ დაეწაფებოდა სხვა, თუ არა „ყელ-გადაგდებული". ამისთანა ნაკადულებით თუ ქალაქელებს უმასპინძლდებიან, რომელთაც ცოტად თუ ბევრად გაჟღენთილი აქვთ ძვალი და რბილი ამღვრეულის და უგემურის წყლის სმით, იმ კუთხის შვილებს მაინც ვაშოროთ თავიდან ამნაირი, რომელთაც ჯერ არ უგემიათ მისი გემო.

ბევრი თხოვნა-მუდარის შემდეგ თელაველებიც ეღირსნენ პროგიმნაზიის დაარსების ნებართვას. ბევრად ემჯობინებოდა, რომ სცდილიყვნენ და ამის მაგიერ დაეარსებინათ სამეურნეო სასწავლებლები კახეთის ზოგიერთ სოფელში და შიგ თელავში. მამული იმიტომ გვეცლება ხელიდან, რომ ცოდნა არა გვაქვს, მამულის ხეირიანი დამუშავება არ ვიცით, შემოსავალი ხარჯს ვერა ჰფარავს. ჩვენ მამულს მცოდნე ხელი ესაჭიროება. ვისაც არა აქვს მიღებული სამეურნეო სწავლა, იმან არ იცის, თუ რა ძვირფასი განძი ძევს ჩვენ სურთხეულ მამულში, ამიტომ უცოდინარნი შრომას გაურბიან და რა ჰქნას გლეხმა, რომელიც, მართალია, სულ მიწას ჩასცქერის, მთელი დღე შრომობს, ოფლსა ჰღვრის, ნაწლევებზე ფეხს იდგამს, მაგრამ მაინც ჰშიან. ჰშიან და კიდევ ის მშიერი გვინახავს ყველას, ჩვენ-კი არ ვაძლევთ შესაფერ ცოდნას, რომ ამით მაინც გაიუმჯობესოს ცხოვრება. სამაგიეროდ, ჩვენ ხშირად მოუფიქრებლივ ვაყვედრით შრომის შვილებს: თუ მამული უნდათ და მუშაობა არ ეზარებათ, რატომ მამულებს არა ყიდულობენო. ჰაი, ჰაი, რომ მამულისშვილს უმამულოდ გაძლება არ შეუძლიან. ის არის მისი ძუძუს მაწოვებელი, მასაზრდოვებელი და ბოლოს იგივე ტკბილად ჩაიხუტებს თავის შვილს. მაგრამ რით იყიდოს? ტყავი აქვს გამძვრალი ჩვენს გლეხს. კახელი გლეხები ისეთ დაბრანძულ და დაკონკილ ტანისამოსით დადიან, რომ მაყურებელს შეებრალება, მაგრამ ისინი არავისიგან სიბრალულს არა თხოულობენ, არამედ სწავლასა. ჩვენ გლეხს ერთი ფირქლი ენატრება თვალზე მისაფარებლად და მამულს რად უშვებენ ხელიდანო!? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! აქამდე სად იყვნენ ის ბატონები, რომელნიც ეხლა, თითქოს განზრახ მოლაპარაკებულანო, ყველანი ერთად ჰყიდიან იმ მამულებს, რომლებშიაც არ უშრომიათ, შიგ ოფლი არ ჩაუღვრიათ: არ მიუღიათ სამეურნეო განვითარება და ამიტომ არ იციან მამულის მოვლა, მამულის ყადრი. აქამდე მოურავები უჭამდნენ შემოსავალს და ეხლა იმ ამაგს, რომელიც არც მათის ფულით და არც ჰკუით არის შეძენილი, სხვას, უცხოს, უგდებენ ხელში. რომ ადროვებდნენ მაინც, ძალიან კარგი, მაგრამ, გვეყიდება და მალე იყიდეთო, ან კიდევ „სხვა მეტს გვაძლევს და ჩვენც იმას მივცემთო". საქმე იმაშია, რომ ბოლოს, როცა აღებულ ფულსაც გაჰფლანგავენ, ისევ გლეხების სარჩენები გახდებიან, ყელ გადაღეღილები მიადგებიან ისევ შრომის შვილს და ეტყვიან: „მშიერი ვარ და მაჭამე, შენი ძმა ვარ და შემინახეო".

სამეურნეო ცოდნა საჭიროა ჩვენი ხალხისათვის, რომ შეუყვარდეთ მამული და შეუყვარდებათ იმიტომ, რომ ამაგი ექნებათ გაწეული, ოფლი ექნებათ შიგ ჩაღვრილი და აღარ გაყიდიან გადარჩენილ მამულებს მაინც. თელავის მაზრაში უკანასკნელი ამისთანა სასწავლებელი ექვსია საჭირო: ვარდისუბანში, კონდოლში, აკურაში, შაშიანში, ენისელში და ყვარელში, თელავში—კიდევ უნდა დაარსდეს საშუალო სამეურნეო სასწავლებელი.

ბევრი თქმულა და დაწერილა, რომ გიმნაზიელები და უნივერსიტეტელები ხშირად მამულს გაურბიან, ჩინ მენდლებზედ სცვლიან მშობელ მხარეს. სამეურნეო სასწავლებელი უნდა ჩვენ ხალხს, რომ ტვირთი მძიმე შეუმსუბუქდეს. მიეცით ცოდნა, ასწავლეთ მეფუტკრეობა, აბრეშუმის ჭიის მოვლა, ნამყენების გაკეთება, გააგებინეთ ამერიკულ ვაზის მნიშვნელობა, ასწავლეთ მებოსტნეობა, ღვინის ბაზრის მათხოვნილების თანახმად და საუკეთესოდ დაყენება, რომ ღვინო იყიდებოდეს, არც მალე უფუჭდებოდეს; ასწავლეთ ბამბის მოყვანა, და სხვა და მალე ვნახავთ ჩვენ თანამოძმეებს წელში გამართულებს და მუდამ სხვის ხელში შემამცქერლებს—მონობისაგან განთავისუფლებულებს.

კაკიაშთხეველი.

მოწერილი ამბები

სოფ. მარტყოფი (გარე კახეთი). დღევანდელი მდგომარეობა გლეხებისა აუწერელია. ერთ ვერ შეხვდებით, რომ დარბეული არ იყოს ხარჯის გადაუხდელობის გამო, რომლის რაოდენობა, მთლად სოფელზე თითქმის 40,000 მანეთს აღწევს, საიდანაც 30,000 მანეთი მარტო სახელმწ. გადასახადია. ამისთანა თანხის გასტუმრებას, ეჭვი არ არის, ზურგი სჭირია, მაგრამ ამას ან ვინ ჰკითხულობს და ან ვინ სჩივის. უბედურობა იმაშია, რომ ამისთანა თანხას აქაური „სბორჩიკები" ართმევენ და ერთი ორად ახდევინებენ ხოლმე ხალხს. მანეთების მაგივრად რომ თუმნები არ ეხდევინებინათ, ეჭვი არ არის, რომ დღეს მათრახების ზურგზე მტვერს არავის აადენდნენ. კარგი იქნებოდა, რომ ვისმეს მაინც მიექცია ამგვარ საქმის ვითარებაზე ყურადღება და ამგვარი საქმე მოესპო, მაგრამ სამწუხაროდ ის არის, რომ ფულს და უფლებას თავისი თვისებები თან დასდევენ, თორემ ამ ბოროტებას თავისი არსებობა უნდა მოესპო მას შემდეგ, რაც რამდენიმე წლის წინად ამგვარ ავაზაკებს [illegible] [illegible] სახელდობ: უწყებით (რომლებზედაც მამასახლისის ბეჭდით აღნიშნული იქნება სახელი, გვარი, გადა და სხვა) უნდა აუწყონ ხოლმე მცხოვრებთ გადასახადის რაოდენობა. ამ საშუალებით შესაძლებელი იქნება ავაზაკობის მოსპობა, თუ რომ უწყებების დამწერნი მატიოსნებასთან არ იქნებიან გაბუტულნი.

სამი კვირის წინად აქ შემდეგი ამბავი მოხდა. ხანში შესულებს: მაღხაზს და სვიმონს ჩიტრეკაშვილებს ამ ზაფხულს რაღაცა ეჭვიანობის გამოისობით დიდი უთანხმოება მოუხდათ, რის შემდეგ საკმაო იყო რაიმე უმნიშვნელო მიზეზი, რომ მათ ერთი ერთმანეთი არ დაენდოთ მოსაკვლელად. ასეც მოხდა. სვიმონს დაუკითხავად სვიმონასავე ადგილიდან მაღხაზა ბარით გამოხდილ ჭაჭას თავის ადგილში ჰყრიდა იმ განზრახვით, რომ მასაც ესარგებლნა ამ „ნაგვით". ამ დროს სვიმონა იქვე ვენახში ბარავდა და შეამჩნია თუ არა მაღხაზა, მაშინვე ბარით გაქანდა იმისაკენ და დაუწყო ჩხუბი. ამ ჩხუბმა იქამდე დააკარგვინა გონება სვიმონას, რომ თავისი მოხუცებული ბიძაშვილი სასიკვდილოდ არ დაინდო და თავში ჩაარტყა ბარის პირი. სვიმონამ ეს არ იკმარა და ახლა წაქცეულს დაარტყა რამდენჯერმე წელში. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მნახველებმა ვერც-კი მოასწრეს გაშველება. მაღხაზა ცოცხალ-მკვდარი ურმით წაიღეს სახლში. მესამე დღეს მან სული განუტევა. სვიმონა დატუსაღეს.

უკმაყოფილო.

სოფ. კუხი (იმერეთი). კუხის ინტელიგენციას სამჯერ ჰქონდა კრება ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ. გადასწყდა, კუხში დაარსდეს სამკითხველო. სამკითხველოს ნებართვის აღება მიანდვეს მიტროფანე მაჭარაძეს. განზრახვა აქვთ, სამკითხველო ჯერ-ჯერობით მოათავსონ სასწავლებლის ერთ-ერთ ოთახში, რომელიც

სალიტერატურო მიმოხილვა

ჩვენი ცხოვრება ყოველის მხრით განიცდის მძიმე და სამწუხარო კრიზისს. ეს ასეა, მაგრამ არ არის საჭირო მაინცა და მაინც წინდაწინვე გული გაიტეხოს კაცმა და სიკვდილი და დაღუპვა კრიზისის აუცილებელ დასასრულად მიიჩნიოს. არაფერი არ არის ისე საზიზღარი, როგორც „წვრილმანი კმაყოფილება". სალი და სასტიკი კრიტიკა და უარყოფა ხანგადასულისა სიმრთელის მომასწავებელია, მაგრამ უსასოებასა და უიმედობას დაუსრულებელს უნდა ვერიდოთ, ვინაიდან იგი განხრწნილების უეჭველი სიმპტომია. ყოველთვის დღევანდელის დღის უნუგეშობას უნდა დაუპირდაპიროთ წარსული. იქ მოსძებნი კაცს სანუგეშოს ორგვარს: ან წარსულთან შედარებით დღევანდელი ვითარება ადგია უმჯობესობის გზასა და ესეც იმედის მომგვრელია, ანა და წარსულშიაც ნახავ ასეთ მოვლენას დროებითის კრიზისისას და ნახავ, რომ ერს იგი კრიზისი გადაუტანია თავისის ძლიერის სულითა და გონებით და სასოება აღგეძვრის, რომ მომავალშიაც ასე იქმნება.

ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენის ლიტერატურის უკანასკნელ 10—15 წლის ხანას, დაინახავს, რომ კერძოდ სიტყვა-კაზმული მწერლობა ვერ არის ჩვენის მოთხოვნილების სავსებით დამაკმაყოფილებელი. ხალხს, რომელსაცა ჰყვანდა ჭავჭავაძეები, ორბელიანები, ბარათაშვილი, წერეთელი ყაზბეგი და ჰყავს ვაჟა-ფშაველა, შეუძლიან კიდევ მოსთხოვოს ჩვენს ლიტერატურას დიდი სახელი დიდ შრომასთან შეერთებული. უკანასკნელ 10—15 წლის ლიტერატურის მსვლელობა კი იმის მაჩვენებელია, რომ გამოჩნდება ხოლმე ჩვენს მწერლობაში უეჭველის ნიჭით აღბეჭდილი მწერალი, იმედს აღგვიფრთოვანებს და მერე მიყუჩდება. საკმარისია გაიხსენოთ რამდენიმე სახელი, რომ ეს სამწუხარო მოვლენა თქვენთვის ცხადი იქმნეს. რა უნდა იყვეს ამისი მიზეზი? რატომა ხდება ეს, რომ ნიჭით მომადლებული მწერალი კალამს აგდებს ხელიდან? რატომ უნდა იყოს ეს, რომ მწერალს კალამი ემარჯვება, გრძნობა აქვს ხელოვნისა და მოხერხება, მაგრამ კალამს უეცრად სტოვებს და სევდით გვივსებს გულს მით, რომ თავისი ნიჭი კიდევ უფრო არ გააღრმავა, კიდევ უფრო მეტი ნაყოფი არ გამოაღებინა. რასაკვირველია, არასოდეს მწერლის ნიჭი ნაწარმოებთა რიცხვით არ დაფასდება, არამედ ნაწერის ღირსებით, მაგრამ საზოგადოება, როგორც ეგრეთი, უფრო ხშირად სასტიკ უტილიტარულ ნიადაგზედა სდგას და ვინც ბუნებას უხვად დაუჯილდოებია, იმისაგან მეტსა თხოულობს.

არ გამოუდგებით ამ მეტად სამწარ მოვლენის მიზეზთა დაწვრილებით აღნუსხვას. აქ ბრალი უდევს ჩვენში სწავლა. განათლების საქმის ვითარებას, პოლიტიკურ პირობებს, ჩვენში მწერლობის უნუგეშო ნივთიერ მდგომარეობას, იმ შმორით აღსავსე ატმოსფერას, რომელიც სულს უხუთავს ნიჭიერ და გრძნობიერ ადამიანს. ყველამ კარგად იცის ეს და ჩვენი ყოველი ძალი და ღონე უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ ჩვენში მწერლობამ მოიპოვოს ის ბრწყინვალე და შეურყეველი ადგილი, რომელიც ჰქონდა ყოველთვის ჩვენს ისტორიაში. პოტენციალურად, იდუმალად ერის გულში, რომ ჩამარხულია ძალები, რომელთა განვითარება მშვენიერსა და წარმტაც მწერლობას შეჰქმნის ჩვენში ეს ცხადადა სჩანს თვით ამ 10-15 წლის ჩვენის ლიტერატურის განვითარებიდან. ჩვენი ლიტერატურა, რაც უნდა მცირე იყოს იგი, მაინც ევროპიელ ლიტერატურის მიმართულებას ადგია და მერე ბრმა-ყურმოჭრილ ყმად კი არა ხდება ამ მიმართულებისა, თავისებურობას იჩენს და მეტად სასიამოვნო თავისებურობაცა.

სასიამოვნო მოვლენათა შორის უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენ ლიტერატურაში ისეთი დარგი იკიდებს ფეხს, რომლის ხსენებაც არ იყო სულ უკანასკნელ ხანამდის (მე სახეში მაქვს, რასაკვირველია, ჩვენის ლიტერატურის ორი უკანასკნელი საუკუნე). პოლიტიკურს მოძრაობას, რომლის სარბიელადაც გარდაიქცა ჩვენი სამშობლო, ტყუილად არ ჩაუვლია და ხელი შეუწყო ლიტერატურის ზოგიერთ დარგის განვითარებას.

პირველ ადგილზე აქ უნდა დავაყენოთ პოლიტიკური მჭერმეტყველება და საზოგადოდ მჭერმეტყველება. ჩვენდა საუბედუროდ, არა გვაქვს ის საუკეთესო ასპარეზი საპოლიტიკო მჭერმეტყველების განვითარებისა, როგორიც არის საპარლამენტო კათედრა, მაგრამ ყოველს შემთხვევაში იმ ათასგვარ მიტინგებსა და კრებებს, რომელიც იმართებოდა ჩვენში „ერთობის" დროს, უეჭველი გავლენა ჰქონდა ჩვენს მჭერმეტყველებაზე. გადაათვალიერეთ იმ დროის ჟურნალ-გაზეთები და ნახავთ, რომ ყოველსავე მოწინავე წერილს ამ მჭერმეტყველების ნიშანი და მისი თვისება აქვს. დღეს დღეობით საპოლიტიკო მჭერმეტყველება კი არა, სულის დაბერვაც ძნელდება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გარემოება შეიცვალა ღრმად და ეს მაინც მოგვიტანა, რომ ქართულს ენაზე იმართება ლექციები, სადაც ზოგიერთი ორატორი 2—3 საათს მშვენიერის ქართულის ენით ლაპარაკობს და საზოგადოება დიდის ყურადღებით ისმენს ამ ნალაპარაკევს. გავიხსენოთ ნ. ბარათაშვილის შესახებ ლექცია, სადაც მჭერმეტყველების ნამდვილი თავისებური ტურნირი გამართა ბ. ბ. რობაქიძემ და ივ. გომართელმა. ეს ლექცია სხვა ფრივაც არის აღსანიშნავი; ჩვენის ლიტერატურისადმი ინტერესს აღვიძებს, ავითარებს და ეს უეჭველია ღრმა ცვლილებას შეიტანს ჩვენის მწერლობის განვითარებაში. ამ ლექციამ გამოიწვია მთელი წყება ფილოსოფიურ კრიტიკულ წერილებისა და უნდა აღინიშნოს ჩვენის ლიტერატურის აქტივში ისიც, რომ საპოლიტიკო სოციოლოგიური და ფილოსოფიური წერილები გახშირდა. ბ-ნთ Báton-ისა რობაქიძისა, გ. ქიქოძისა, უზნაძისა და სხვათა ნაწერების შემწეობით მუშავდება ფილოსოფიური ენა, სტილი და ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს ამ სფერაში თან და თან უფრო ეხერხებათ მარტივისა და ჩინებულის ენით თვით უღრმესის საგნების შეხება.

ჩვენს სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში, რომლის მთავარი გამომსახველი იყო შარშან ყოველ კვირეული ჟურნალი „ფასკუნჯი" ახალი მოტივები გაისმის. დაძველებული მეთოდი, თუ გნებავთ, კილო მწერლობისა, მართალია, კიდევ არის აქა-იქ, მაგრამ მის გაცხოველებას ვერა შველის ვერც ნიჭი ბ-ნ მგალობლიშვილისა და ან. ერისთავ-ხოშტარიასი. პირველის „ორი მეზობლის ისტორია" და მეორეის „დარისპან თორაშვილი" მეტად მოსაწყენი ნიმუშია „ყოფა-ცხოვრების" აღწერილებისა, „ყოფა-ცხოვრება" იმდენად საინტერესოა ხელოვნებისათვის, რამდენადაც იგი სიმბოლიური გამომხატველია სიმშვენიერისა და ცხოვრების საიდუმლოებისა. მწერალი თვით უმნიშვნელო მოვლენის „ყოფა-ცხოვრებისას" საინტერესოდ ჰხდის მხოლოდ მაშინ, თუ თავისს „მე"-ში გაცხრილავს მას და თავის პიროვნების ძლიერ თავისებურობას აღბეჭდავს მაზედ. დღეს ფოტოგრაფია თვით, უწარჩინებულესი, ველარ გვაკმაყოფილებს და ფოტოგრაფებიც კი სცდილობენ ხელოვნება შეიტანონ თავიანთ ხელოსნობაში. როგორღა შეიძლება დაგვაკმაყოფილოს მწერალმა, როცა იგი ხმარობს დაჩლუნგებულს იარაღს. ამიტომაც არის, რომ თუმცა ავტორები „ღამის მეხრე ცეცოისა" და „ლაზარემ გადააჭარბასი" მწერლობაში დახელოვნებულნი არიან, მაგრამ მათი უკანასკნელი ნაწარმოებები უფრო დაქვეითების მაჩვენებელია, ვიდრე ზრდისა და განვითარებისა.

სამაგიეროდ, ყურადღებას იქცევს ორი მოთხრობა „ფასკუნჯის" მიერ შარშან გამოქვეყნებული. ერთი „დღეობაში" ბ-ნ ლუკაშვილისა და მეორე — „ნათლია და ნათლული" ბ-ნ მალაქიაშვილისა. ბ-ნ ლუკაშვილის მოთხრობა სავსეა დეფექტებითა, ტეხნიკური მხარე ძალიან სუსტია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მოიპოვება ადგილები, რომელნიც ავტორის ნიჭს ამტკიცებენ და ლიტერატურაში ახალი ელემენტები შეაქვთ. მოთხრობაში არის აღწერილობაები, რომლებიც სავსეა გრძნობითა და პანტეისტურის ლირიზმით (თ. 1); არის ადგილები, რომელთაც დაჰბერავს ძლიერი ვნებათა-ღელვის სული (იხილე თავი 5), რაც რუსთველის ერის ლიტერატურისთვის ახალი ხილი როდია, მაგრამ ჩვენი „ყოფა-ცხოვრების" თაყვანის მცემელნი კი ძალზე გაურბიან. ხოლო მწერლობა, რომელსაც აკლია ვნებათა-ღელვის ენა და რომელსაც გატაცებულ გრძნობათა ღრმა კვალი არ ამჩნევია, მწერლობა არ არის, ყოველ შემთხვევაში დაბალის ღირსების მწერლობაა.

აი, ერთი ადგილი ბუნების აღწერილობვსა ბ-ნ ლუკაშვილის მოთხრობიდან:

> „მარცხნივ ნელის ნაბიჯით მტკვარი მიიზლაზნებოდა, რომლის ზედა-პირზე პირბადრი მთვარე ოქროს ძაფით გვირისტს უვლებდა. მოციმარი ცისკარი ხან მთვარეს ეხმარებოდა კერვაში, ხან კი შორს სივრცეში მხართეძოზე წამოწოლილ მთვლემარე ვარსკვლავებს ვნებისაგან აღგზნებული წამ და უწუმ თვალს უშვრებოდა და მოხიბლავის წამის ყოფით თავისთან საარშიყოდ იწვევდა..."

ცოტათი უხერხულადაც რომ იყოს დაწერილი ეს რამოდენიმე სტრიქონი, უეჭველია, ახალის მანერის მომასწავებელია და იმის მაჩვენებე-

ეხლა უქმად არის. შემდეგისათვის კი ფიქრობენ, საკუთარი ქვის შენობა აგონ და სამკითხველოც იქ მოათავსონ. კეთილი აზრია და ვუსურვებ კუხელებს ამ აზრის კეთილად დაგვირგვინებას.

მამასახლისის არჩევნები ერთსა და იმავე დროს ხდება მთელ ხონის რაიონში. 19 ქრისტეშობისთვეს ხონში მოხდა მამასახლისის არჩევნები, 20-ს სოფ. კუხში და 23-ს კი ნახახულევის საზოგადოებაში. 20 ქრისტეშობისთვეს სოფ. კუხში მამასახლისად არჩეულ იქმნა ფარცვანია.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას, რომელიც სოფ. კუხში არსებობს, მომავალ წლიდან გასასყიდად ექმნება ვენახის ნერგები, ამერიკულ ვაზზე დამყნილი. გამგეობა მეაბრეშუმეთა ამხანაგობისა აცხადებს, რომ აქვს ნამყენები სხვა და სხვა ჯიშისა. ნამყენი გაიყიდება მეაბრეშუმეთა ამხანაგობაში შეღავათიან ფასებში.

—ჯი.

ხონი. 25 წელიწადია, რაც ხონში მოღვაწეობს ბ-ნი ივანე სიმონის ძე შარაშიძე. მას განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის სასწავლებლების დაარსებაში. რაც ხონში სასწავლებელი არსებობს, თითქმის ყველა მისის ინიციატორობით არის დაარსებული; მაგალითად: სამასწავლებლო სემინარია, ქალთა პროგიმნაზია, სამოქალაქო სასწავლებელი და მრავალი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი. ბ-ნმა ივ. შარაშიძემ დიდი ღვაწლი და შრომა გასწია სარწყავი არხების გამოყვანაშიაც. იგივე იყო მერაბად 15 წლის განმავლობაში და კარგადაც განაგებდა წყლის საქმეებს. ამ ჟამად ბ-ნი შარაშიძე წ.-კ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების თავმჯდომარის ამხანაგია. მისი დაუღალავი, მუდამ მომქმედი ენერგია კიდევ არა სცხრება და, როგორც ესლა გავიგე, იგი აპირებს თურმე კიდევ ერთ კეთილ საქმის გაკეთებას. ეს კეთილი საქმეა მსწრაფლ მბეჭდავ სტამბის გახსნა წ.-კ საზოგადოების ხონის განყოფილების მიერ ხონში, დარწმუნებული ვართ, რომ ხონში ერთი სტამბა იარსებებს და შემოსავლიანი წყაროც იქმნება ადგილობრივ განყოფილებისათვის. შარაშიძეს ცარიელი სიტყვები არ უყვარს, მისი სიტყვა საქმეა. იგი არა ჰგავს ხონელ ინტელიგენტებს, რომელთაც უცირილი ბევრი იციან, საქმე კი არა.

გ. ფახკუნჯი.

საპატიო სადილი

თავ. ა. მ. ერისთავს.

(წერილი ქუთაისიდან)

როდესაც ამას წინად გაზეთებმა ამბავი მოიტანეს იმის შესახებ, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრი, ქართველ თავად-აზნაურობის წარმომადგენელი თავ. ა. მ. ერისთავი მემარჯვენეთა პარტიაში ჩაეწერა, ბევრი გაოცებული დარჩა: არ ეგონათ, თუ ქართველი კაცი, თვით თავად-აზნაურობის წარმომადგენელი, ცენტრს გადასცილდებოდა და მარჯვნით გაიწევდა. ყველა ფიქრობდა, რომ თავადი ერისთავი დეპეშით უარჰყოფდა ამ ამბავს. გავიდა დრო, მაგრამ თავ. ერისთავმა არა თუ დეპეშით, უბრალო წერილითაც კი არ უარჰყო ხმები. საზოგადოება ბევრი მაინც ფიქრობდა, მალე თვითონ თავ. ერისთავი ჩამოვა პეტერბურგიდან და გაჰფანტავს მის შესახებ გავრცელებულ ჭორებსო, მაგრამ მოსტყუვდა. ტფილისში ჩამოსულ თავ. ერისთავს ეწვია „ნოვაია რეჩის“ თანამშრომელი, რომელსაც უნდოდა გაეგო საკანონმდებლო ზედა პალატის წევრის შთაბეჭდილებანი შესახებ იმისა, თუ რა აზრი ტრიალებს უმაღლეს წრეებში საზოგადოდ განაპირა ქვეყნებისა და კერძოდ კავკასიის საჭიროებათა შესახებ. თავ. ერისთავს არაფრად ეჭაშნიკა დაუპატიჟებელ სტუმრის მისვლა და თავი ძლიერ შორს დაიჭირა. მან კითხვებზე პირდაპირი პასუხი არ აღირსა კორესპონდენტს და უკანასკნელმა მხოლოდ ორიოდე უმნიშვნელო სიტყვა გამოსტყუა კავკასიის ნამესტნიკის შესახებ. რაც შეეხება გაზეთების ცნობას მისი მემარჯვენეობის შესახებ, თავ. ერისთავმა ერთი კრინტიც არ დასძრა. ამგვარად, მან თავის სიჩუმით დაადასტურა ხსენებული ამბავი.

როგორ შეხვდა ამ ამბავს ქუთაისური თავად-აზნაურობა? სრულიად აუშფოთებლად. ქუთაისში თავ. ერისთავს „გაჭეშმარიტების“ გამო ხელის მოწერაც კი გამართეს ფულის შესაკრებად. სურთ თავ. ერისთავის პატივსაცემად დიდი ნადიმი გადაიხადონ. ვილაცებს დაუჭერიათ ხელში ხელ-მოსაწერი ფურცლები, დადიან კარ-და-კარ და ფულს აგროვებენ, თან არწმუნებენ საზოგადოებას, თავ. ერისთავი მემარჯვენეებს პოლიტიკურის მოსაზრებით, ჩვენი ქვეყნის სარგებლობისათვის მიემხროო.

იქნება, ზოგიერთმა ისა სთქვას, თავ. ერისთავს სადილს უმართავენ არა როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრს, არამედ როგორც ქართველ საზოგადო მოღვაწესო. მაგრამ ვერ გამიგია, რად უწოდებენ მას საზოგადო მოღვაწეს? თავ. ერისთავს დიდი ხანია ვიცნობთ, მაგრამ ის კი არ ვიცით, თუ რად და რა გაუკეთა მან ქართულ ერს და რით დაიმსახურა საზოგადო მოღვაწის სახელი. ვიცნობდით მას ჯერ როგორც ფოთისა და შემდეგ ქუთაისის საკრედიტო ბანკების თავმჯდომარეს, მაგრამ არც ერთი ბანკისათვის თვალსაჩინო არაფერი გაუკეთებია, გარდა იმისა, რომ ხშირ-ხშირად დადიოდა პეტრეს ქალაქში,—რასაკვირველია, ბანკების ხარჯით,—ტრიალებდა უმაღლესს წრეებში და აკეთებდა,—უკეთ რომ ვთქვათ,—იკეთებდა საქმეებს, რასაც შედეგად მოჰყვა მისი საკანონმდებლო პალატის სავარძელში გამოჭიმვა. გვინახავს თავ. ერისთავის დაუსრულებელი „მჭერმეტყველება“ და მოკლე სიტყვის გრძლად და ბუნდოვანად თქმა თავად-აზნაურთა თუ საკრედიტო და საადგილ-მამულო ბანკების საზოგადო კრებებზე. თუმცა იმის ნალაპარაკევიდან კაცი ბევრს ვერაფერს იგებდა, მაგრამ ამ გარემოებას იმითა ხსნიდნენ, რომ თავ. ანდრია ძლიერ ჭკუიანი და ღრმა მოლაპარაკე კაცია და ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, არ გვესმის მისი სიტყვების სიღრმეო. გვინახავს თავ. ერისთავის რუსულად დაწერილი (ქართულად ლაპარაკი და წერა ჰკირივითა სძულს), რამდენიმე საგაზეთო წერილი, უმეტეს ნაწილად „pro domo sua“, რომელთა „სიღრმე“ ისევე გაუგებარი რჩებოდა მკითხველისათვის, როგორც მისი სიტყვიერი მჭერმეტყველება და სხ. და სხ.

აი, ამ დიდებულ „მოღვაწეს“ ქუთათური საზოგადოება დიდი ნადიმის გამართვას უპირებს! როგორ მოგწონთ, მკითხველო, ასეთი დაკნინება? კაცს, რომელიც გვერდში ამოუდგა ჩვენსა და ჩვენსავით დაჩაგრულ ერების მტრებს, კაცი-ჭამია მარკოვ-პურიშკევიჩ-ტიმოშკინებს, მადლობისა და პატივისცემის ნიშნად გუნდრუკს უკმევენ, სადილებს უმართავენ! ჩვენს ადგილზე რომ სხვა ვინმე ყოფილიყო, თავ. ერისთავს არა თუ სადილებს არ გაუმართავდნენ, თავსაც კი არ დაუკრავდნენ.

მე, როგორც ქუთაისის გუბერნიის აზნაური, მოვითხოვ, რომ თავ. ერისთავმა პირბადე აიხადოს და დაგვანახოს თავისი ნამდვილი სახე. ჯერ დავინახოთ, თუ რა კაცია ჩვენი წარმომადგენელი, და მხოლოდ შემდეგ ვიზრუნოთ იმის პატივისცემასა და ნადიმების გამართვაზე.

ისარა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ორ იანვარს ჩვენი თეატრის ორმოცდა-თოთხმეტი წლის არსებობის აღსანიშნავად ქართულ თეატრში გაიმართა სადღესასწაულო წარმოდგენა.

პირველად წარმოადგინეს შალვა დადიანის ერთ-მოქმედებიანი პიესა „როს ნადიმობდნენ“. ეს არის სიმბოლიური სცენა დღევანდელ სოციალურ ცხოვრების გამომხატველი და მის შედეგის მომასწავებელი. მთელი მისი შინაარსი ასეთია: თვალწარმტაცად მოწყობილ დარბაზში გაშლილია მდიდრული სუფრა. სუფრას დასტრიალებს სამი-ოთხი მოსამსახურე სხვა და სხვა ფსიხოლოგიის გამომხატველი. ერთი მათგანი, უფრო მშიშარა, შეჰნატრის ბატონის ბედნიერებას. მეორე, ცოტა გამბედავი, ბრაზობს, რომ მისი ბატონი ყველაფრით კმაყოფილია, ხოლო თითონ ყველა სიკეთეს მოკლებულია. მესამე ღვთიურ კანონად აღიარებს ბატონობას და მონობას, იგი ერთგულია ბატონისა და დანარჩენთაც ურჩევს, მასავით იერთგულონ. შემოდის ფეოდალი თავის ცოლით და მოუჯდება სუფრას. ცოტა ხანს შემდეგ შემოდის ბერი და იგიც გვერდს დაუმშვენებს ფეოდალს. ფეოდალს უნდა, რომ ასიამოვნოს ბერს და გასცემს ბრძანებას, გლეხებმა ააგონ ახალი მონასტერი. შემოდიან მგოსანი და მეცნიერი. მგოსანი შემოსვლისთანავე ფრთებს აშლევინებს თავის მუზას და ჩანგს აწყობინებს ჟღერას. შემდეგ ორივენი მივლენ და მოუსხდებიან სუფრის მეორე მხარეს. აქ პოეტი და მეცნიერი რამდენსამე ხანს ეკამათებიან ერთმანეთს და აღნიშნავენ თავთავის უპირატესობას ცხოვრებაში. სუფრის თავს ერთი ცარიელი სავარძელი კიდევ რჩება. ჩქარა შემოვა კაპიტალისტი და ამ სავარძელს დაეპატრონება. იგი კარგა მოზრდილ მონოლოგში აღნიშნავს თავის ძალას ცხოვრებაში, გავლენას და ბატონობას ყველაზე, ყველაფერში. იგი ქებას ასხავს ოქროს ყოვლად შემძლებლობას და ამაყობს, რომ ეს ყოვლის-შემძლე იარაღი იმის ხელშია, იმის შემწეობით იმორჩილებს ყველას და მათ შორის მგოსანსაც და თითქმის მეცნიერბაც. მგოსანი ცეცხლს იკიდებს, არა სწამს თვისი მორჩილება, მონობა, იგი ხან ჰშლის თავის იდეალებს, ეტრფის ახალ-ძალას, მომავალის განმამტკიცებელს, მაგრამ მაინც მუქთა-ხორათა სუფრას იქით ვერა სცილდება.

შემოდის გლეხი. იგი ეხვეწება მონასტრის აშენებას ნუ დააკისრებენ, რადგან ისედაც ათას-ნაირ ბეგარით წელში სწყდებიან. ბერი ბრაზობს. კაპიტალისტი, მგოსანი და მეცნიერი მოითხოვენ სკოლის აშენებას. ფეოდალი ბოლოს გლეხებს აკისრებს ააშენონ სკოლაც და მონასტერიც. გლეხი შეწუხებული წასვლას აპირებს, მაგრამ ამ დროს უეცრად გამოჩნდება პროლეტარი. იგი შეაჩერებს გლეხს. სჭექს და ჰქუხს მონადირეთა თავზე. ამათ ამცნობს თავიანთ მუქთა-ხორობას; გლეხს კი აცნობს თავის ძალას და მოიწოდებს ერთად მოსპონ უსამართლოება. გართობილი აგიტაციურ ლაპარაკში მივა და ჩაჯდება კაპიტალისტის სავარძელში. კაპიტალისტი თავზარ-დაცემული გაიძახის, ჩემი ადგილი დაიჭირაო. მგოსანი კი ჰხარობს, რომ იხილა ახალი ძალა და ბოლო ეღება უსამართლობას, შორიდან მოისმის მარსელიეზას ხმა.

პიესა სულ მარტივია; ზოგ ადგილას ძალიან შაბლონიურიც არის. მაგრამ არტისტებს რომ გულმოდგინეთ ეთამაშნათ, ბევრად უფრო უკეთესი იქნებოდა, ვიდრე ვიხილეთ. ფეოდალს—ივანიძეს ჯერ ზსეც არა აქვს სირინოზის ხმა და იმ ღამეს ხომ ისე საშინლად გაჰფუჩებოდა, რომ სულ აწამა მსმენელთა ნერვები. კარგი იყო მგოსნის როლში ზარდალიშვილი, მშვენიერი იყო კოტე მესხიც კაპიტალისტის როლში. რაც შეეხება გვარამაძეს პროლეტარის როლში, ივანიძეზე საამური ხმა არც მასა ჰქონდა და ამასთანავე მის მორჩილ ტანს არც შეეფერება ესეთი მრისხანე როლი. არა უშავდათ-რა ჟივიძეს გლეხის როლში და გედევანოვს—მეცნიერისაში. სუსტები იყვნენ შოთაძე, ფეოდალის ცოლი, და მატარაძე—ბერი. საერთოდ პიესამ სუსტად ჩაიარა. არტისტებს სიცოცხლე აკლდათ და რეჟისორის ხელიც არა სჩანდა.

კარგად ჩაიარა მეორე პიესამ „ექიმთ-ნ“. ეს პიესა ერთმოქმედებიანი კომედიაა ივ. გომართლისა. არ ვიცით, წინადაც წარმოუდგენიათ თუ არა. ჩვენ-კი პირველად ვნახეთ და მოგვეწონა. ენა-მახვილიანია ბევრი სასაცილო ადგილია შიგ. ერთ მოქმედებიან კომედიას მეტიც არ მოეთხოვება. ტიპიური ებრაელი იყო ზარდალიშვილი. კარგი იყო პოლკოვნიკის როლში გედევანოვიც.

საკონცერტო განყოფილებაში. მონაწილეობა მიიღო ვ. ურუშაძემ, ივ. სარაჯიშვილმა და ა. ადამიძემ. პირველმა გურული სცენები სთქვა, მეორემ—რამდენიმე რომანსი იმღერა რუსულად, მესამემ—რამდენიმე ლექსი წარმოსთქვა. სამივე ტაშით დააჯილდოვეს.

ბოლოს გვაჩვენეს ვითომდა აპოთეოზი. უშნო და ულამაზო რაღაცა იყო. აიხადა ფარდა, ალბად შეცდომით და უდროოდ. სცენაზე არტისტები დაფუსფუსობდნენ. ბევრს მოეწონა ასეთი „აპოთეოზი“ და აქა-იქ ტაშიც გაისმა. ფარდა ხელად დაუშვეს, მეორედ რომ აიხადა, კედელზე თითქოს სურათი გამოჩნდა, მგონი გიორგი ერისთავსა ჰგავდა. ვილაცას გვირგვინი ეჭირა. იქვე არტისტები იდგნენ. ეს იყო აპოთეოზი...

ჩვენი თეატრის მესვეურთ ყველაფერში დაუდევრობა ეტყობათ. პროგრამები რა არის და ისიც-კი ვერ დაუბეჭდიათ უშეცდომოდ. თეატრთან არსებობს დრამატიულ საზოგადოების გამგეობა, რომელსაც ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი; არის რეჟისორი, მისი თანაშემწე და სხვა. ამდენი თანამდებობის კაცნი არიან და მაინც დაუდევრობასა ვხედავთ.

ხალხი ბევრი დაესწრო წარმოდგენას.

ვლ. ალექსი-მესხიშვილი. რუსეთიდან ტფილისში ჩამოვიდა მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, რომელიც დარჩება აქ რამდენსამე ხანს და მონაწილეობას მიიღებს ქართულ წარმოდგენებში. ბ-ნი მესხიშვილი მონაწილეობას მიიღებს ქართულ წარმოდგენაში 8 იანვარს და შემდეგ წავა ქუთაისს, სადაც იგი საგასტროლოთ არის მიწვეული.

ოსმალეთი

ოსმალეთის აკადემიის დაარსება. ვენის გაზეთებს ატყობინებენ სტამბოლიდან: ერთმა ოსმალელმა მილიონერმა 2,300,000 ფრანკი შესწირა ოსმალეთის მთავრობას მეცნიერებათა აკადემიის დასაარსებლად. ეს აკადემია საფრანგეთის აკადემიის მსგავსად უნდა მოეწყოს და უნდა შესდგებოდეს 24 წევრისაგან: ოსმალელთა, არაბთა და სპარსელთაგან. აკადემია უპირველესად უნდა შეუდგეს ოსმალურ ენის მეცნიერულად გამოკვლევას.

შორეულ აღმოსავლეთი

ამერიკის წინადადება. დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ ახალ წლის წინა დღეებში დიდად მნიშვნელოვანი წინადადება წარუდგინა დიდ სახელმწიფოებს მანჯურიის ყველა რკინის გზების შესახებ. ამ წინადადების თანახმად მანჯურიის ყველა რკინის გზები, როგორც უკვე გაყვანილი, ისე ისინიც, რომლებიც მომავალში იქნება გაყვანილი, უნდა შეადგენდნენ ჩინეთის საკუთრებას, ხოლო ამავე დროს ეს გზები უნდა დაექვემდებარნენ საერთაშორისო კონტროლს. ყოველ სახელმწიფოს გავლენა ამ კონტროლში განსაზღვრული იქნება იმ წვლილით, რომელსაც შეიტანს იგი რკინის გზების გამოსასყიდად საერთო სესხში.

თუ ეს პროექტი სრულად ვერ განხორციელდება, ამ შემთხვევაში ამერიკის მთავრობა წინადადებას აძლევს დიდ სახელმწიფოებს მონაწილეობა მიიღონ ცინცჯოუ-აიხუნის რკინის გზის აშენებაში, რომლის კონცესია უკვე მიიღეს ამერიკელმა და ინგლისელმა კაპიტალისტებმა, იმ პირობით, რომ იმ საერთაშორისო სინდიკატს, რომელიც დაარსდება ამ საქმისთვის, ეკისროს მანჯურიაში ახალ რკინის გზების აშენებაც და აგრეთვე უკვე გაყვანილ რკინის გზების გამოსყიდვაც.

აი ასე მოკლედ გვაცნობს პეტერბ. დეპეშათა სააგენტო ამერიკის წინადადებას და თან დასძენს, რომ რუსეთის მთავრობა ამ ჟამად ზედ-მიწევნით იკვლევს ამ წინადადებას.

ამ წინადადებამ ფეხზე დააყენა მთელი ქვეყნიერობის პრესა და ნამეტნავად რუსეთისა და იაპონიისა.

ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადება.

შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრმა, ნოქსმა, ავტორმა ზემოხსენებულ წინადადებისა, უთქვამს „ტაიმს“-ის კორესპონდენტისთვის. ამერიკის მთავრობის წინადადება მანჯურიის რკინის გზების შესახებ, სრულიად შეეფერება იმ მიზანს, რომელსაც იმ თავითვე მისდევს ამერიკა. ჩვენი მთავრობა იმ თავითვე მისდევდა „ღია კარების პოლიტიკას“ მთელს ჩინეთში, ესე იგი მუდამ მოითხოვდა, რომ ჩინეთში ყველა სახელმწიფოს თანასწორი უფლება ჰქონდეს ვაჭრობისა და რომ არც ერთს მათგანს არა ჰქონდეს რაიმე განსაკუთრებული უფლება და არ შეეძლოს ჩინეთში გაბატონება და ადგილების დასაკუთრება. ამას წინად ჩინეთთან რომ მოლაპარაკება იყო გამართული რკინის გზის სესხზე, ამერიკის მთავრობამ მაშინვე მისცა დიდ სახელმწიფოებს ყურადღება იმ გარემოებას, რომ მათი მეტოქეობა წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს „ღია კარების“ პოლიტიკისთვის და ჩინეთის გარეშე ვაჭრობის განვითარებისთვის და რომ ჩინეთზე მეტად დიდ გავლენას იქონიებს სრული თანხმობა ოთხ უპირველეს კაპიტალისტურ სახელმწიფოსი: ინგლისისა, გერმანიისა, საფრანგეთისა და ამერიკისა. ჩვენის მთავრობის აზრით, შორეულ აღმოსავლეთის წყნარ განვითარებისთვის აუცი-

---

ლი, რომ მწერალისათვის უცხო არ არის ბუნებაში მითვისებული დიადი გრძნობა ვნებისა და ერთიერთ შორის გრძნობის მიმზიდველობისა.

ასეთივე გრძნობა ვნებისა, ძლიერის გრძნობისა, რომელსაც ვერა აღუდგება-რა წინ, ისეთის გრძნობისა, რომელსაც შეაქვს განახლება ცხოვრებაში და ადამიანთა შორის წარმოდგენაში—ასეთის გრძნობითაა გაჟღენთილი მეორე ხსენებული მოთხრობა ბ-ნ მალაქიაშვილისა „ნათლია და ნათლული“. აქ თვით ნათლიასა და ნათლულის კავშირი შეძლება იმდენად საინტერესო არ იყოს, როგორც ის აზრი, რომლის გამომხატველიც არის ეს მათი კავშირი. ნათლიასა და ნათლულის სქესობრივ კავშირს არც თუ ისეთის სისასტიკით მოეპყრობა უმეტესობა დღევანდელის ჩვენის საზოგადოებისა, თუმცა ამ სფერაშიაც მეტად ჩამორჩენილია, მაგრამ საინტერესოა აქ თვით გაბედული კილო მადლიანის გრძნობით გატაცებულის ქალვაჟისა.

— ხალხი რას იტყვის? კანონი ნებას არ მოგვცემს!—ამბობს ქალი

— ვის რა საქმე აქვს ჩემს ბედნიერებასთან? რის კანონი ჩემი ღვთაებაა! **უკვე მკვდარია ის კანონი, რომელიც ჩემს გრძნობებს და აზრებს ზღუდავს, წინ ღობებს...** (ხაზი ჩვენია).

მოწყდა ადგილიდან ანჯელოსი...

ის და ვასიკო ერთმანერთს ჩაეკვრნენ.

ვარსკვლავები გრძნობით აკისკისდნენ, ცის ტატნობს შვებით გაეღიმა... დროთა ბრუნვაში გამობრძმედილმა მთვარემ სიხარულის ნიშნათ სინათლეს უმატა... ზურმუხტის სხივებით დაფუთნა ბედნიერნი, დაუმალა ქვეყნის ბოროტ თვალს... და თვითონ კი ქურდულად ჩაეკონა ვასიკოსთან ერთად ატატოს მინაბულ თვალებს და ღიმილით მთრთოლვარე ტუჩებს... გრძნობის მეფეც აკვნესდა და [illegible] ბედნიერთ ნეტარების წამები!...1)

დამეთანხმებით, რომ ასეთი იერი გრძნობიერებისა ჩვენ ლიტერატურისათვის თუმცა უცხო ხილი არ არის (გაიხსენეთ ჩვენი რომანტიკოსები), მაგრამ ჩვენი პროზა კი ღარიბია იმით, ე. ი. ღარიბია მით, რასაც შეაქვს პოეზია და სიმშვენიერე ცხოვრებაში და ცხოვრების ყოველსავე მოვლენაში, მით უფრო სასიამოვნოა, რომ ჩვენი ახალგაზდა პროზაიკები სცდილობენ განაცხოველონ სიტყვა-კაზმული მწერლობა ჩვენი და თუ შეიძლება ესე ვთქვათ, მეტის გრძნობებით აღბეჭდონ იგი.

ჩვენის ისტორიულის ლიტერატურისათვის კარგი შესაძენია ბ-ნ ვ. ყიფიანის ტრაგედია „ლევან ბატონიშვილი“. ამ ნაწარმოების შესახებ ვრცელი წერილი გვქონდა დასტამბული. საყურადღებოა ბ-ნ ვ. ბარნოვის ისტორიული რომანი: „სახიფათო სიყვარული“, რომელიც „დროებაში“ იბეჭდებოდა. რომანი რომანტიულის მანერით არის დაწერილი: მეფის სიყვარულისა და „უბრალო მოკვდავის“ ფარნაოზის გრძნობების შეტაკება, დედოფლის ეჭვები და ოინები, რომელიც გადაარჩენს ტასიკოს ფარნაოზისათვის; ტასიკოს საიდუმლო გატაცება, „მისთვის ცრემლ შეუშრობელის“ ფარნაოზის ძებნა და პოვნა სატრფოსი; სამეფო სასახლეში გამართული ინტრიგები და სხვა ამგვარები არა თუ ინტერესს არ აკლებენ მოთხრობას, პირიქით, შეიძლება მკითხველის უმეტეს ნაწილისათვის მეტად სასიამოვნო საკითხველადაც ჰქმნიდეს. ბ-ნ ბარნოვს ძალიან მრავალ-მხრივი ნიჭი აქვს და შრომის უნარი. მართალია, ეს ნიჭი ძლიერი არ არის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში მისი მწერლობა აღუნიშნელი ვერ დარჩება ჩვენს ლიტერატურაში. რაიც შეეხება საზოგადოდ ჩვენ საისტორიო მწერლობას, ე. ი. ჩვენის ისტორიიდან ამოღებულ სიუჟეტებს ხელოვნურად გარდაქმნას, ეს მეტად წასაქეზებელი საქმეა, მხოლოდ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისტორია არაკისა, სიუჟეტისათვის იმავე როლს უნდა თამაშობდეს მწერლის თვალში, როგორც სხვა სფერო და სხვა რომელიმე წყარო მწერლობისა. ყოველსავე საგანს ეჭირვება ხელოვნური შემუშავება და ყოველივე საგანი მწერლის განსაკუთრებულის აზრის იარაღად უნდა იყვეს მიჩნეული. ისტორია უნდა ჩარჩოს როლს თამაშობდეს, რომელიც მკაფიოდ უნდა გვაჩვენებდეს სურათს. აიღეთ ამ შემთხვევაში პირდაპირ სამაგალითო ქმნილება ნიჭიერ ქართველისა, თუმცა უცხო ენაზე გამოთქმული, „ლალატი“. ზეინაბი ეს ნამდვილი ზეკაცის ტიპია, ისეთი ტიპია, რომელიც ნიცშეს ალტაცებაში მოიყვანდა. ა. სუმბათაშვილს მარტო ისტორიაში შეეძლო მოეძებნა ასეთი ნამდვილი გამომსახველი ნიცშეს იდეალისა, როგორიც ზეინაბია. სუმბათაშვილმა ამგვარად ისტორიას ეხლანდელობის თვალთა ხედვის ისარი გაუყარა და მთელი სიმბოლიური სურათი მოგვცა საქართველოს ცხოვრებისა. ბ-ნმა ვ. ყიფიანმაც დარეჯანის ტიპი მოგვცა, ესეც თავისებური ეხლანდელების თვალსაზრისით შექმნილი ხასიათია. დარეჯანია ქალი, რომელიც სიყვარულისა და პატივმოყვარეობის გრძნობას ისე გაუტაცნია, რომ ყოველსავე საშუალებას ხმარობს თავის გრძნობების განსახორციელებლად საწამლავი, დანა და ხანჯალი, ინტრიგების ქსელი ყველაფერი ეს მისთვის უბრალო ჩვეულებრივი იარაღია თავისი აზრის აღსასრულებლად მოხმარებული. ესეც შესაძლო იყო მარტო ისტორიულ ნიადაგზე. ეხლანდელი ქალი უფრო ანგარიშს მონაა, ვიდრე გრძნობისა და თუ რამე ძლიერმა გაურბინა გულში, უსათუოდ სასწორითა და არშინით გაზომავს, ყოველ შემთხვევაში მის მისაღწევად „კანონისგან მოწონებულ იარაღს“ მიჰმართავს, თუ გინდ ეს იარაღი ნაზ-გრძნობიერის ადამიანისთვის საზიზღარიც კი იყოს. ბ-ნი ბარნოვი თავის მოთხრობაში სცდილობს, უფრო ასე ვსთქვათ, ისტორიული ზნე-ჩვეულების სურათი მოგვცეს. მას არა აქვს არც ერთი მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ვით ზეინაბი, უცნაურობით მომხიბვლელი ხასიათი, არც ისეთი მტკიცე ხასიათის ტიპი მოუცია, როგორც ვ. ყიფიანის დარეჯანია. ისა სცდილობს ისტორიული ყოფა-ცხოვრება დაგვიხატოს. ესეც მოსაწონარი საქმეა, მაგრამ ამას დიდი ცოდნა და დაკვირვება უნდა ისტორიულის ცხოვრებისა, რაიცა დღევანდელ ჩვენ ისტორიის მდგომარეობაში შეუძლებელიც არის. კაცმა სთქვას, იმიტომაც არის, რომ რომანი ისე კარგად თავდება და ეს კეთილი ბოლო თითქო მოწყვეტილი არისო. აბა რა დასაჯერებელია, როსტომ მეფეს ქალი შეჰყვარებოდეს და ისე ადვილად დაეთმოს, ან დედოფალს თავის მოქიშპე ქალის დაღუპვა გადაეწყვიტოს და ისე უყურადღებოდ მიეგდოს მისი ამბავი, ან მაშინდელ ვაჟს გრძნობა-სიყვარულისა გამოეცალოს და ისე ადვილად შერიგებოდეს თავის მეტოქეს, როგორც ეს სარიდონმა ჰქნა. ასეა, მაგრამ რომანს აქვს თავისი ღირსებები და, უეჭველია, მკითხველს ბევრ კმაყოფილებას მიანიჭებს ეს მოთხრობა ჩვენის წარსულის ცხოვრებიდან. ისტორიულ შინაარსიან ნაწარმოებთა შორის უნდა ჩაითვალოს უიარაღოს ბიბლიურ ჰანგზე მოთხრობილი ამბები „მეფე“, „ფარისევლები“ და სხვა. ნაზი იუმორი შესაფერისს სტილთან შეხამებული თავისებურ ინტერესს აძლევს ამ მოთხრობებს.

კოტე აბაშიძე.

(დასასრული იქნება)

---

1) ეს ადგილი ჩვენ ზელთ ნაწერიდან გვაქვს ამოღებული. მოთხრობა არ იყო „ფახკუნჯ“-ში დამთავრებული.

ლებლად საჭიროა—მანჯურიის რკინის გზები ჩამოერთოს ეხლანდელ პატრონებს და გადაეცეს საერთაშორისო ადმინისტრაციას. ამ საქმის განსახორციელებლად საჭირო იქნება არა თუ მარტო ჩინეთის დახმარება, არამედ რუსეთისა და იაპონიის დახმარებაც. რუსეთი და იაპონია მაშინ განთავისუფლდებიან დიდ პასუხის გებისაგან და შევლენ იმ სახელმწიფოთა ჯგუფში, რომელიც მათ მაგივრად იკისრებს ამ პასუხისგებას. ამნაირად განხორციელებულ იქნება მანჯურიის სრული ნეიტრალიზაცია, ესე იგი' აღარც ერთ სახელმწიფოს აღარ ექნება იქ რაიმე პოლიტიკური ინტერესი, გარდა აღებ-მიცემობის და მრეწველობის ინტერესისა; ვეღარც ერთი სახელმწიფო ვეღარ დაიჭერს მანჯურიაში ადგილებს და ამნაირად უზრუნველყოფილ იქნება ხელშეუხებლობა ჩინეთის სამფლობელოსი, რომელსაც გაუჩნდება ძლიერი მფარველი—საერთაშორისო სინდიკატი.

დასასრულ ნოქსს უთქვამს: ინგლისის მთავრობამ პრინციპიალურად უკვე მოიწონა ჩვენი პროექტიო. გერმანია და ჩინეთიც თანაგრძნობით უცქერიან ჩვენს წინადადებას. იმედი გვაქვს, რომ ჩვენს პროექტს სრულის თანაგრძნობით შეხვდებიან რუსეთისა და იაპონიის მთავრობებიცაო.

რუსულ პრესის აზრი ამერიკის პროექტზე.

რუსულმა პატრიოტულმა პრესამ ძლიერ იწყინა ამერიკის პროექტი. ოქტომბრისტების გაზ. „გოლ. პრავდი"-მ რუსეთის შეურაცხყოფად ჩასთვალა ეს პროექტი. გაზეთი სწერს:

„რა დაემართა ან საზოგადოდ მთელ რუსეთს, ან კერძოდ ჩვენს სამფლობელოს შორეულ აღმოსავლეთში, რომ ასეთის კადნიერის კილოთი დაგვიწყეს ლაპარაკი? ამერიკის ისტორიული ნოტა ისეთის კადნიერობით ეკიდება ჩვენს ინტერესებს წყნარ ოკეანეს ნაპირებზე,—და იმდენად მოურიდებლად გვიწვევს სანჩხუბრად ამ სრულ მშვიდობიანობის დროს, რომ იძულებულსა გვხდის ღრმად დაუფიქრდეთ ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობაზე. იქნება ჩვენ ეხლა მეორე ოსმალეთად ან მეორე ჩინეთად გვხდებენ!"

პატრიოტული გაზ „სვეტი" განაწყენებული სწერს: ამერიკამ მეტად სამარცხვინო წინადადება მისცა რუსეთს. ცხადია, რომ რუსეთის ინტერესების თვალსაზრისით ამერიკის პროექტი შეუწყნარებელია.

„ნოვ. ვრემია"-ს აზრით, მანჯურიის რკინის გზის გაყიდვა შეუძლებელია იმ დრომდე მაინც, სანამ რუსეთი ამურის რკინის გზის გაყვანას არ გაათავებს.

რუსულ პროგრესიულ გაზეთებში ყველაზე მკაფიოდ თავისი აზრი გამოსთქვა „რუს. სლოვო"-მ. ამ გაზეთის თანამშრომელს ცნობილს ვ. მიხაილოვსკის სწორედ ღვთის წყალობად მიაჩნია რუსეთისათვის ამერიკის პროექტი: შორეულ აღმოსავლეთიდან მოულოდნელმა ბედნიერებამ გაუღიმა რუსეთის მთავრობასო. ამერიკის პროექტის წყალობით რუსეთი ადვილად დააღწევს თავს იმ გაჭირვებას, რომელშიაც იგი ჩააგდო ჩვენის მთავრობის უხეირო პოლიტიკამ შორეულ აღმოსავლეთში. რუსეთმა რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაანებოს თავი მანჯურიას, რომ ეხლა ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ რუსეთს არ შეუძლიან შორეულ აღმოსავლეთში იაპონიასთან გამკლავება. არა თუ იაპონიამ, ბოლოს დროს რუსეთს საქმე გაუჭირვა ჩინეთმაც, რომელიც უფრო და უფრო თავხედურად ექცევა რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებსო. მანჯურიის რკინის გზაში რუსეთს სულ მცირედ 200 მილიონ მანეთს მისცემენ და ეს ფული რომ ამურის რკინის გზის გაყვანასა და ამურის მხრის კულტურის ამაღლებას მოახმარდეს,—ეს გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანს რუსეთს, ვიდრე მანჯურიის რკინის გზის ქონაო.

იაპონიის მთავრობის აზრი.

ვენაში დიპლომატთა წრეებს ცნობა მოუვიდათ, რომ ამერიკის პროექტმა ძლიერ აადელვა იაპონელებიო. იაპონიის მთავრობა „დაუყოვნებლივ უყოყმანოდ გამოაცხადა, რომ იგი არა დროს არ დასთანხმდება მანჯურიის რკინის გზების ნეიტრალიზაციას, ხოლო თუ ამერიკელები შეუდგებიან მანჯურიაში ისეთ ახალ რკინის გზის აშენებას, რომელიც ცილაობას გაუწევს იაპონიის რკინის გზას, იაპონია ამ გარემოებას საკმაო საბუთად ჩასთვლის ომის გამოცხადებისთვისო („რ. ს.")

რუსეთი

◆ **რუსეთის ფლოტი და ინგლისი.** „რანნეე უტრო" იუწყება: სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ინგლისი თანახმაა რუსეთს ასესხოს ფული სახლვაო ფლოტის აღსადგენად მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ გემების ნაწილი თვითონ ინგლისმა უნდა ააგოსო.

◆ **საერო განათლების მინისტრის ბრძანება.** საერო განათლების მინისტრს სახალხო სკოლების ინსპექტორებისთვის მიუწერია: რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ გუბერნატორის აზრს სახალხო სკოლის მასწავლებლის ამა თუ იმ კანდიდატზედ, ამიტომ სანამ სახალხო სკოლის მასწავლებელს დანიშნავდეთ, ადგილობრივ გუბერნატორს შეეკითხეთ, რა აზრისაა ის ამა თუ იმ მასწავლებელზეო.

◆ **პურიშკევიჩის ბროშიურა.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს, პურიშკევიჩს გამოუცია ბროშიურა: „ერობა—ხალხის მტერია". „ერობაი, სწერს პურიშკევიჩი, ხელში ჩაიგდეს გალატაკებულმა მემამულეებმა და კრამოლნიკმა ინტელიგენტებმა. ამით კი სოფელში გაამატონეს „ჟიდი"—ექიმი, „ჟიდი" ბებია—ქალი, „ჟიდივე"-მასწავლებელი და ამ სხვაებმა შესჭამეს სოფელი, გადაგვარების გზაზედ დააყენეს, „კრამოლა" გაავრცელეს და სოფელში აღმოფხვრეს ეროვნული გრძნობაო. პურიშკევიჩის აზრით, ან სულ უნდა გაუქმდეს რუსეთში ერობა, ან სოფლიდან გამოდევნონ „ჟიდები". პურიშკევიჩს თავის ბროშიურა ყველა სოფლებში გაუგზავნია დასარიგებლად.

◆ **ინჟენერი გილევიჩი.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, პეტერბურგში ხმა გავრცელებულა, რომ ინჟენერ გილევიჩის ნათესავებს მისცემენ 100,000 მანეთს, რომელშიც განსვენებული ინჟენერი გილევიჩი იყო დაზღვეული. როგორც ვიცით გილევიჩმა მისთვის მოჰკლა სტუდენტი პოდლუცკი, რომ ამ 100,000 მანეთის გამოტანა უნდოდა.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით, კიევის სტუდენტთა ქართულ კულტურის მოყვარულთა წრის მონდობილობით, ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელნიც გამგეობის-მიერ გამოგზავნილ ბარათებს თანაგრძნობით შეჰხვდნენ და გამოგვიგზავნეს რამდენიმე წიგნი. სია შემომწირველთა: 1. სილ. ხუნდაძე:—„ეროვ. თვით-მართველობა", „გემის დაღუპვა", „ჩემი აზრი და ფიქრები", „სიმები", ილ. ჭავჭავ. სახ.ავრად, „ქართული გრამატიკა", „ლექსები 1892 წლისა", „ჩემი აზრი და ფიქრები II", „ცხოვრების სურათი", „მკვლელები და მცველები", „აკაკის ლექსები", „ემმა პავ:ელი", „დონკიხოტი ლამანჩელი" „უსახლკარო". 2. დუტუ მეგრელი—ლექსები I. 3. ალ. ხახანაშვილი:—„Два эскиза изъ культ. жизни грузинъ", „Правила V, Вселен. Собора„, Аѳонскій списокъ 978 года Груз. Библіи", „О Сванет. рукописныхъ Еванг. надписяхъ". მოსე ჯანაშვილი:—„ქართულ მწერლობა".

წრის მიდობილობით

ნიკო ზირაქიშვილი.

P. S. ვთხოვთ პატივცემულ მკითხველებს მოგვაწოდონ წიგნები და ჟურნალები, რაზედაც დიდად დაგვავალებენ.

ჩვენი მისამართი: კიევი, საკომერციო ინსტიტუტი, სტუდ. ნიკოლოზ ზირახოვს—წრისთვის.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო დიდ-გომარეთის საზოგადოების მამასახლისს სოლომონა ადამაშვილს. დიდ-გომარეთის სკოლა, მივარდნილი სადღაც შორს, წარმოადგენდა მთლად მინგრეულ-მონგრეულს სასკოლო შენობას. საზოგადოების მხრივ სკოლა უყურადღებოდ იყო დატოვებული. ამგვარი უნუგეშო სკოლა მცხოვრებთ ვერაფერს სამსახურს გაუწევდა და შემდეგშიაც ამავე პირობებში რომ დარჩენილიყო სკოლის შენობა, ეს სკოლის მიწაში ჩამარხვა იქნებოდა ადგილობრივმა მამასახლისმა ადამაშვილმა დიდი ყურადღება მიაქცია სკოლის შენობის შეკეთებას და დაავალა ხალხს ეკისრნა ეს საქმე ხალხმა შეასრულა და სკოლა გაამშვენიერა. სკოლის შენობა შემდეგშიაც მოითხოვს მამასახლისისა და საზოგადოების ყურადღებას და სასურველია პირველ გაზაფხულზევე სკოლის ეზოს შემოავლონ ქვიტკირის გალავანი. სკოლას მაშინ ეზოში გაუშენდება ბაღი, ჩაერგვება სხვა და სხვა ხეხილი, რაიც გარეგნულად სკოლა მეტს სიყვარულს გამოიწვევს საზოგადოებაში. იმედია, მამასახლისი ამ საქმესაც მოაგვარებს.

მამასახლისთან ერთად მადლობას ვუცხადებ იმათაც, რომელნიც ადგილობრივ ზნეობრივ დახმარებას მიწევენ დიდ-გომარეთის სკოლის წესიერად მოწყობაში.

დიდ-გომარეთის სკოლის მასწ.
კ. ხეხნიაშვილი.

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ა. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბვეტისიანცი: 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ნ. ვ. ალბრეხტი: 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
საღამოთი:
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—247)

ექიმი **ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—33)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

„სორაპნის" ამხ. გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად
ნ. ბარათაშვილის
სრული ლექსთა
კრებული
ბიოგრაფიულის ცნობებით.
ფასი 10 კაპ.
(5—6.—2)

160—200 საჟ.
მსურს შევიძინო ქართულ გიმნაზიის ახლო. ადრესი. ანანურის ქ. (დუშეთის ქ.) № 3. (3—805—2)

სორაპნის ამხ. გამოცემა.
ქართველი და უცხოელი მწერლები
მიიღება ხელის მოწერა
მეოთხე წიგნზე
● განდეგილი ●
ლექსები და მოთხრობები.
წიგნი ჩვეულებრივ ფორმატისა იქნება, 225 გვერ. და ხელის მომწერლებისათვის ეღირება 25 კაპეიკი კუპონიანად. ავტორის სურათითა და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით გაუმჯობესებული იქნება ყოველის მხრით წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება 15 დეკემბერს და გათავდება 25 იანვარს. წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა. ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზავნოს ფოსტის მარკები—40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვში.
ადრესი: Тиф., Т-ва «Сорапань». (10—7)



იაფი შემოწმებული საათი
შეიძლება იყიდოთ მხოლოდ
ა. გოლდ-შტეინთან
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ვერცხლის და ოქროს ნივთები სულ იაფად. (10—ხალ.—6,

„დროების" რედაქციაში
მიიღება ხელის მოწერა
Bâton-ის წიგნზედ
„ერი და კაცობრიობა, განხილულნი სოც. მხრით".
შინაარსი წიგნისა:
წინასიტყვაობა: „ეროვნული საკითხი" და სოციალიზმი.
თავი პირველი: რა არის საზოგადოება?
თავი მეორე: არსებობს თუ არა კაცობრიობა და როგორ?
თავი მესამე: ერი და საზოგადოება.
თავი მეოთხე: საზოგადოება, ერი, სახელმწიფო.
თავი მეხუთე: ხალხი, ერი, სახელმწიფო.
თავი მეექვსე: ერი.
თავი მეშვიდე: საერთაშორისო სამართალი და კაცობრიობა.
თავი მერვე: სოციალიზმი, ერი და კაცობრიობა.
თავი მეცხრე: ერის უფლება.
თავი მეათე: შედარებითი ღირსება ერთა.
თავი მეთერთმეტე: „ფონდი" კაცობრიობისა, შესაძლებელი მომავალი.
თავი მეთორმეტე: განყენებული საზოგადოებრივი მეცნიერება და კონკრეტული საზოგადოებანი.
თავი მეცამეტე: ერის თეორიები.
თავი მეთოთხმეტე: ქართველი ერი.
თავი მეთხუთმეტე: დასკვნა: იდეალი და პრაქტიკა.
ხელის მოწერა მიიღება: **პეტერბურგში** თამარ ლომაურთან, **ოდესაში**—არჩ. ჯაჯანაშვილთან, **ფოთში**—ნოე ჟღენტთან, **ქუთაისში**—წიგნების მაღაზია „იმერეთი" ის. კვიცარიძესთან, **ხონში**—გიგლა მებუკესთან, **ცხინვალში**—ელ. ელიოზიშვილთან, **გორში**—დ. მაჭავარიანთან, **ტფილისში** „დროების" კანტორაში და წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში. **თელავში**—ივ. პაატაშვილთან, **კიევში**—ივ. კარგარეთელთან, **ხარკოვში**—იოს. ავალიშვილთან, **ბაქოში**—პ. ქარუმიძესთან, **ახალციხეში**—კ. გვარამაძესთან, **ჭიათურაში**—ს. ტარუაშვილთან და სხვა.
ხელის მოწერა მიიღება 1 თებერვლამდე (უკანასკნელი ვადა)
აგენტებს ვთხოვთ თავის დროზე წარმოადგინონ სია ხელის მომწერთა
წიგნის ფასი—ხელის მომწერთათვის **სამი აბაზი**. გასაყიდად ექვსი აბაზი.
(4—300—4) გამომცემელი **მ. ხუციშვილი.**

13 დეკემბრიდან ტფილისში გამოდის ყოველ კვირეული
სალიტერატურო ჟურნალი
„სხივი"
ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები [როგორც ორიგინალური, ისე ნათარგანი), ლექსები, კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფიები და სხვა. მონაწილეობას მიიღებენ: აზიანი, ახოსპირელი, გელა, იასამანი, ირეთელი ლალიონი, ლეო, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, ნიკოლაიშვილი, რაჟდენიძე, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაველი, ტუქსიშვილი და სხვანი. პირველ ნომრიდან იბეჭდება **ივ. გომართელის** კრიტიკული წერილები ქართულ ლიტერატურაზე.
ჟურნალი ღირს: ერთი წლით—5 მ., ნახევარი წლით—2 მ. 50 კ., ერთი თვით—50 კ. ცალკე ნომერი—10 კაპ. ვინც ამ თავიდან გამოიწერს და იანვრის გასვლამდე მთელი წლის ფულს შემოიტანს, პრემიად მიეცემა
◀ სტეპნიაკის მოთხ. „სახლი ვოლგის ნაპირზე". ▶
წიგნი თებერვლის დამლევს დაურიგდება ხელის მომწერლებს. ამასთანავე დეკემბრის ნომრებიც უფასოდ გაეგზავნება. ჟურნალის გამოწერა შეიძლება ტფილისში: გაზ. „მომავალი"-ს რედაქციაში: პ. კალანდაძესთან; წიგნის მაღაზია «ალიონში» ვ. გადილიასთან, კიროჩნი ქუჩა N 9; სტამბა „პეჩატნოე დელო"-ში, ველიამინოვის ქუჩა N 6 პ. კალამესთან, და „გუტენბერგის" სტამბაში ოლგისა და სლეპცოვის ქუჩის შესახვევში N 1, დილის 10 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
ქ ა ლ ა ქ გ ა რ ე დ:
ქუთაისში: წიგნის მაღ. «იმერეთში», ის. კვიცარიძესთან; სამტრედიაში რკ. გზის შკ. ყ. კოპალეიშვილთან; ბათუმში—რკ. გზის შკაფში გ. მახარაძესთან; ჭიათურაში—მასწ. გ. ზურიძესთან; ჩოხატაურში—წიგ. მაღ. ს. თავართქილაძესთან; ოზურგეთში—წიგ. მაღ. მ. თალაკვაძესთან; ხიდისთავში—მასწ. ე. ლომთათიძესთან; სადგურ აჯიქაბულში—ვ. ყიფიანთან და რკინის გზის ყველა სადგურებზე, სადაც წიგნის შკაფებია.
წერილები და ფული დროებით ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ типографія „Печатное Дѣло", Вельяминовская N 6. Поліевкту Антоновичу Каландадзе.
(5—5)

კაზმული მწერლობა—მხატვრობა—მუსიკა—თეატრი.
„ფასკუნჯი"
სალიტერატურო—სამხატვრო ჟურნალი 1910 წლის
იანვრიდან გამოვა თვეში ერთხელ [illegible] ჟურნალის სახით.
„ფასკუნჯში" დაიბეჭდება მოთხრობები, ლექსები, პიესები, კრიტიკული და ისტორიული წერილები კაზმული მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის და თეატრის შესახებ; ხელოვნების ქრონიკა და
◀ სურათები ▶
ფერადი და ფოტოტიპიური ერთფერი.
„ფასკუნჯი" განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქართული ხელოვნების ნაშთებს.
გარდა ჟურნალისა ყოველს ხელის-მომწერს, რომელიც მთლად გადაიხდის წლიურს ფასს, საჩუქრად მიეცემა.
◀ შოთა რუსთაველის ▶
დიდი ფერადი სურათი (11—8 ვერშ. ზომით)
„ფასკუნჯში" მონაწილეობას იღებენ: აკაკი, კ. აბაშიძე, შ. არაგვისპირელი, განდეგილი, ი. გომართელი, ი. ევდოშვილი, ან. ერისთავი-ხოშტარია, დუტუ-მეგრელი, ს. მგალობლიშვილი, დ. ლუკაშვილი, კ. მალაქიაშვილი, ნ. ლომოური, ნ. ნაკაშიძე, ი. ნაკაშიძე, ი. ნიკოლაძე, თ. რაზიკაშვილი, გრ. რობაქიძე, ა. სარაჯიშვილი, სიტყვა, ზ. ფალიაშვილი, ი. ფანცხავა, ალ. ხახანაშვილი, ვ. მალიკაშვილი, ალ. შანშიაშვილი, ტ. შევარდნაძე, კ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე და სხვ.
ჟურნალის სამეურნეო ნაწილის (ბეჭდვა, დასურათება და სხ.) გამგენი არიან: კ. მესხიშვილის ლიტოგრაფია და „სორაპანის" სტამბა.
ჟურნალის ფასი; წლით 5 მან., 6 თვით 3 მან. წლიური ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: თავში 2 მან, მაისში 2 მ. და სექტემბერში 1 მან.
ჟურნალი ნომრობით არ გაიყიდება.
ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში: კ. მესხიშვილ თან, სორაპნის სტამბაში და წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში. პროვინციაში აგენტებთან.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапани".
(6—6) რედაქტორ-გამომცემელი **ს. ფირცხალავა.**

დაიბეჭდა და 1 იანვარს დაურიგდება ხელის-მომწერლებს სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი
„განათლება"
იანვრის ნომერი შემდეგის შინაარსით: 1. რედაქციისაგან; 2. „სხვათა შორის", ვაჟა-ფშაველასი; 3. დიმარი—«ბავშვის პირველი გაკვეთილები»; 4. „ვლოცვა", ლექსი აკაკისა; 5. „ჩემი პირველი აღელვება", მოთხრობა მარ. ჩელიგისა; 6. „სულა და ღმერთები", სპარსული ლეგენდა ბაჩანასი: 7. «პედაგოგიის ისტორია», ვეიმერისა (გერმანულიდან), ნ. ლორთქიფანიძისა; 8. „სანიმუშო პროგრამები საქართველოს სახალხო სკოლებისათვის": 9. ლ. ტოლსტოი—«რელიგიოზური აღზრდის გამო» (წერილი ამერიკელთან); 10. „შინაური მიმოხილვა", ფარისა; 11. „ცნობები საყოველთაო სწავლების შესახებ ტფილისის გუბერნიაში"; 12. „ერობის მოღვაწეობა რუსეთში"; 13. „სახალხო განათლება მოწყობა და მართვა-გამგეობა უცხოეთში"; 14. «ბავშვების საზოგადოება ამერიკაში»; 15. „სკოლის გამოცდილებიდან"; 16. „მეცნიერება და აღზრდა", (პირველი წერილი) ექ. ვ. ღ—ძისა; 17. წერილები დაბა სოფლებიდან; 18. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 19. სამეცნიერო მიმოხილვა; 20. განცხადებები.
ჟურნალი წლიურად ღირს სამი მან., ნახევარი წლით ორი მან. სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **ორ მანეთად**.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**—„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის" რედაქციაში.
ადრესი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. БОЦВАДЗЕ.
(3—3) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. ჴ. ბოცვაძე.**



ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის
მაღაზია ქ. ქუთაისში.
ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.
საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.
აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.
ა დ რ ე ს ი: А. Р. Табагари, г. Кутаисъ.
(100—6—97)

Открыта подписка на 1909/10 годъ
НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ
НА КАВКАЗѢ
Ежемѣсячный журналъ исторіи, этнографіи и общественно-экономической жизни Кавказскаго края; литературы, публицистики, науки и искусства.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА за 12 кн. 5 РУБЛ отъ 6 до 10 лист. каждая
за 6 книгъ—3 руб.
за 3 книги—1 р. 50 к.
ВЪ ЖУРНАЛѢ ПРИНИМАЮТЪ ФАКТИЧЕСКОЕ УЧАСТІЕ:
Петръ Авдѣенко, д-ръ полит. наукъ Вл. Ахметеловъ, С. И. Борчевскій проф. С. А. Венгеровъ, Д. Ведребисели, Б. М. Городецкій, М. Джанашвили, П. А. Зажаевъ, Е С. Канчеръ М П. Кожушко, Петръ Кузько А. И. Литовкинъ, Г. М. Малышенко, Лук. Мельниковъ, проф. Всев. Ѳ. Миллеръ, П. В. Мироновъ, Нусэ, И. Ѳ. Пальмовъ, А. С. Пираловъ, Ник. Поярковъ, Н. А. Преображенскій, Г. А. Робинсонъ, А. Родной (Коростылевъ), А. М. Розовъ, Н. М. Рындинъ, П. А. Скачковъ. В В. Скиданъ, А. Т. Снарскій, Султанъ-Довлетъ-Гирей, Е. М. Тумановъ, С. Тимофеевъ. проф. М. И. Туганъ-Барановскій, проф. А. С Хахановъ, Г. М Цаголовъ, Ф. А. Щербина, С. П. Эйрановъ и др.
Вышли 5 №№ журнала и продаются во всѣхъ книжныхъ магазинахъ Тифлиса, Баку, Елисаветполя, Кутаиса, Эривани и др
ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ г. Екатеринодарѣ: въ конторѣ редакціи—Соборная, 50, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ; въ Тифлисѣ—въ книжномъ магазинѣ Хидекель, Центр. Книж. торговлѣ и др; во Владикавказѣ, Баку, Кутаисѣ и Ставрополѣ во всѣхъ книжныхъ магазинахъ; въ Петербургѣ въ книжномъ магазинѣ т-ва М. О. Вольфъ; въ Москвѣ въ книжномъ магазинѣ т-ва М. О. Вольфъ. (6—6)

სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.